



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 35

2016 წლის 25 აპრილი
ხაშური



ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანებისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება განთავსებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობებში (ს.კ 69.08.58.229) (ს.კ 69.04.60.240). ა(ა)იპ-ის დირექტორის მომართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შენობები გადასცეს ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანებას პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული უძრავი ქონებით წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტის და ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების 2016 წლის 6 აპრილის № 30 წერილის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშური, კოსტავას ქუჩა № 2-ში (ს.კ 69.08.58.229) და ხაშური, დაბა სურამი, გურამიშვილის ქუჩა № 2-ში მდებარე (ს.კ 69.04.60.240) უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანებას (ს.კ 243918089);
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის შესრულებასთან;
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე